რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: წვრილი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] 5 [illegible]

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადება

გამოვიდა და ისყიდება

სახალხო საექიმო წიგნი

## კარაბადინი

შედგენილი

მღ. დავით ღამბაშიძისაგან.

გამოცემა პირველი.

ფასი გაგზავნით უყდოთ ერთი მანეთი, ყდით ექვსი აბაზი.

წიგნის ყიდვა შეიძლება:

თფილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—სიმონ ცერვაძის მაღაზიაში (გიმნაზიის მახლობლად).

ახალ-სენაკში—ბლაღოჩინს სისორდიასთან.

ზუგდიდში—ბლაღოჩინ მიხ. მეუნარგიასთან.

ლეჩხუმში (ლაილაშში)—ბლაღოჩინ ილარიონ გერსამიასთან.

საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან—სასოფლო შკოლაში.

გორში—პავლე ბურჯანაძესთან (სასულიერო სასწავლებელში).

ყვირილაში—ბლაღოჩინ დავით ღამბაშიძესთან.

დაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. დ. ღამბაშიძისაგან (დ. ყვირილიდამ), ამ ადრესით: Въ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Гамбашидзе. ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

(7—2)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე"

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადროვის) ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კიევი, 22 ივლისს. აქაურს „უწყებებში" დაბეჭდილია განჩინება კიევის სამხედრო სასამართლოსი პოლიტიკურ დამნაშავების შესახებ. პირველი განჩინების ძალით 11 ბრალდებული ნაცნობი არიან დამნაშავედ იმაში, რომ აღკრძალულ საზოგადოებას ეკუთვნოდენ, ჟიტომირის პოლკის ყუთის გატეხას აპირებდნენ, დაიარაღებული ეწინააღმდეგებოდნენ პოლიციას, ორი კაცი მოჰკლეს; გადაუწყვეტეს: გორსკის, ბილჩანსკის და იჟიჩინნიკოს სიკვდილით დასჯა და დანარჩენებს კატორღაში გაგზავნა. მეორე განჩინებით ერთი ბრალდებული სცნეს დამნაშავედ იმაში, რომ აღკრძალულ საზოგადოებას ეკუთვნოდა და საწინააღმდეგო თხზულებებს ავრცელებდა,—გადაუწყვიტეს—კატორღა. მესამე განჩინებით ბრალდებულთ ფეოდოროვს და კრასოვსკის აღკრძალულს საზოგადოებაში მონაწილეობის მიღებისა და ასაფეთქი მასალების საბოროტოდ ქონვისა, გარდაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა და პრედტეჩენსკის—კატორღა. გენ. გუბერნატორმა იჟიჩინნიკოვსა და კრასოვსკის სიკვდილის მაგიერ, სამუდამო კატორღა გაუჩინა. 18 ივლისს დილის 10 საათზე, ბილჩანსკი, ფედოროვი და გორსკი ჩამოახრჩვეს.

პეტერბურღის ბირჟა, 20 ივლისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 95—37 |
| მეორე — — — — | 94—25 |
| მესამესი — — — | 94—25 |
| მეოთხესი — — — | 94—50 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—62 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92—25 |
| აღმოსავლეთის, მესამე — | 92—50 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — | 7—80 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გიროს ფურცელი — | „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის— — | 233—75 |
| მეორე სესხის — — | 233— „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—32 | პენსი |
| ბერლინი — — | 128— „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 267—50 | სანტიმი |
| ვენა — — — | 216—50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — | „ — | |

## საქართველო

### ჩვენი ძველი დროის წიგნების სტამბები თფილისის გუბერნიაში და იმერეთში.

(ვეძლევნი უ. დიმიტრი ზაქარიასძეს ბაქრაძეს)

რამდენი კაცისაგან, სამწუხაროთ, ნასწავლთაგანაც, გაიგონებთ ეხლანდელ დროში: „ქართული ენა თანდათან ძლიერდება; წინათ რაიყო? რა ქონდათ წინეთ ქართველებს? რა იცოდნენ ქართველებმა? სად ჰქონდათ მათ საბეჭდავი სტამბები?" „ჩვენ გავაწყეთ სტამბები და ვბეჭდავენ წიგნებს" და სხვა.

ზევრს მართლა ჰგონია, ვითომც ჩვენ საბეჭდავი სტამბა სრულებით არ გვქონებოდეს. მართალია, ჩვენი მეფების დროში იმდენი წიგნები არ იბეჭდებოდა და არც იმდენი გაზეთები გამოდიოდა, როგორც დღეს გამოდის, მაგრამ ამისთანა საქმის მდგომარეობა მარტო აქ კი არ ყოფილა... განა რუსეთში კი იმდენი გაზეთები გამოდიოდა ჩვენი ვახტანგ მეფის დროს, რამდენიც დღეს იცემა?

ამისათვის საჭირო არის იცოდეს ყველამ: გვქონდა თუ არა ჩვენ წიგნების საბეჭდავი,ვიდრემდის რუსები შემოვიდოდნენ საქართველოში.

ამისთანა ცნობები ჩვენ შეგვიძლია, შევკრიბოთ იმ წიგნებიდამ, რომელნიც ამ სტამბებში დაბეჭდილან. მაგრამ საუბედუროდ ზოგიერთი ძველი წიგნები აღარ მოიპოვებიან. ისინი თანდათან ქრებიან. 1875 წელში განსვენებულმა საქართველოს ეკზარხოსმა მოახდინა განკარგულება ამ სტამბებში დაბეჭდილი პარაკლისის წიგნები იყო შეეკრიბათ საქართველოს სინოდის კანტორაში წარედგინათ. მართლაც ასე მოხდა. ზოგი დღესაც მოელის ამ წიგნების დაბრუნებას. რისთვის დაბოჭეს ეს წიგნები, დღესაც არ იციან კარგათ, რადგან იმისი მოწერილობა ამაჭედ არაფერს არამბობდა. ზოგიერთები ამბობენ, რომ ამ პარაკლისის წიგნებში ჩვენი ქართველი მეფეების მოხსენება იყოვო; მათში უწმინდესი სი-

ნოდის ხსენება არ იყოს! ვინ იქნება ისეთი უგნური მღვდელი, რომ ისე მოიხსენიოს ყოველს ადგილს მეფე სახლობა და სხვა, როგორც ძველ წიგნებში ეწერება. ლოცვა ერთია და ხელთწერის მოხსენება გარდაცვალებულებია რჩება და ახალის იხსენება. ზოგიერთები აზრით გამოდის, რომ ყველა ის პარაკლისის წიგნები, რომელნიც ნიკოლოზ ხელმწიფის დროს არიან დაბეჭდილნი სულ უნდა გადაყარონ!...

რაც წიგნებია დარჩენილი, ზოგს თავი აქვს მოგლეჯილი და ზოგს ბოლო; ზოგი დაფუშულია და ზოგი თითქმის ნახევარი არის შეჭმული თაგვებისაგან, რომელნიც ყოველ ეკკლესიებში სცოვრობენ და საჭმელად რომ ვერაფერს შოულობენ საღმრთო წიგნებს ჰჭამენ!... ეს უზომო ცხოველები უარესი უარესი მტერებია ძველი დროის მომაგონებელი ნივთებისა, ვინემ ორფეხა ცხოველები.

ჩვენი მხედრული და ხუცური ასოები ძლიერ დიდი ხნით წინეთ არიან შემუშავებულნი, სანამ სტამბები გაკეთდებოდა და უნდა სთქვას კაცმა ძლიერ ხელოვნურად და მშვენიერად. სანამ სტამბები გაკეთდებოდა ჩვენ გვყოლია მწერლებით რომელთა საშვალებით წიგნები ვრცელდებოდა საზოგადოებაში. თითქმის ყველა იმერეთის ეკლესიებში ნახავს კაცი მშვენივრად დაწერილს სამღთო და საეკლესიო წიგნებს. ამასთან კერძო პირებსაც მრავალს აქვს ამისთანა ხელნაწერი წიგნები, რომელნიც გვიმტკიცებენ ჩვენ მწერლობის მშვენიერ ნიჭს, შრომის სიყვარულს და წერის მშვენიერად შესწავლას. რაც უნდა დიდი წიგნი აიღო თავიდამ ბოლომდის ვერ ნახავ, რომ რომელიმე ასო განირჩეოდეს ერთი-ერთმანეთისაგან. ზოგი კაცი ვერ მიხვდება თუ წიგნი ნაბეჭდი არ არის. ეს წიგნები არიან დაწერილნი ზოგი ტყავზე და ზოგი სქელ ქაღალდზე.

მაგრამ რამდენიც უნდა ცდილიყვნენ არ შეიძლება და სიტყვებში სადმე შეცდომა არ მომხდარიყო, განსაკუთრებით საღმთოწერილის წიგნებში. ეს ძლიერ აწუხებდა მრავალს. მეჩვიდმეტე საუკუნე რომ დასრულდა ვახტანგ მეფემ მოინდომა სტამბის გამოწყობა. მან მოიწვია უნგრიიდამ და ვალახიიდამ ერთი სტამბის მცოდნე პირი, მიხეილ სტეფანოვი და გააწყობინა მას ტფილისში სტამბა, სადაცა მრავალი სამღრთო და საეკკლესიო წიგნები დაბეჭდილან. ეს წიგნები დარიგებულია ყველა ეკკლესიებში საქართველოში და იმერეთში. მე მაქვს დღეს ერთი კურთხევანი, დაბეჭდილი 1713 წელში ამ სტამბაში და ამ წიგნის სათაურის წარწერიდამ ცხადათ შეიტყობს მკითხველი სტამბის დაარსების საქმეს ქალაქს ტფილისში.

მოგვყავს აქვე შეუშლელად ეს ზედ წარწერა.—„კურთხევანი აწ ახალი დაბეჭდილი ქართულსა ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა ჵჲ: ჵჲ—ვახტანგისა ღვთივ განათლებულის საქართველო განმგებელისა ბატონის შვილის ჵჱ: ჵჲ: სვიმონისა:—კაიმართა წიგნი ესე ხელით სამთავნელ ეპისკოპოსის ქვიპრიანესითა ხელითა ხელოწრფის კარის დეკანოზის შვილის მესტამბის მიქელისათ:—ქალაქს ტფილისა დასაბამიდ-ქსჲ ქრისტეს აქეთ ჩღიგ:

მეორე გვერდზე ამ კურთხევანისა არის ეს წარწერილობა: ოდეს სუფევდა თვისსა სამეუფოსა შინა ღვთის მოყვარე მპყრობელი საქართველოსა მეფე ვახტანგ: იგულის მოდგინე და მოიყვანა ვლახეთით მესტამბე მიხაილ. და გააკეთებინა სტამბა ფრიადითა წარაკებულითა საფასეთათა. მრავალთაცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი. რამეთუ არა ოდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა სტამბი. და ხელითწერილთა მწერალთაგან სალხრთონი წეოილნი ჩვენი გარყვნილიყვნენ: მას ჟამსა ოდეს განაგებდა მათი სასურველი ძმა ბატონის შვილი უფლი სვიმონ. აჰით ძიერ მებრძანა მე სამთავნელს ქვიპრიანეს ბერძნულთა წიგნთა ზედა ჩვენთა წიგნებთა შემოწმეა. რამეთუ მცარედისა რასამე ბერძულთა წიგნთა და ესრეთ სწავლულ ვიყავ. ღმერთო შეიწყალე კვიპრიანე.

როგორც ზემოთ ვსთქვით იმერეთი თუმცა საკუთარს სამეფოს შეადგენდა ამ დროს, მაგრამ არ ქონებია საკუთარი სტამბა ტფილისს სტამბაში ნაბეჭდი წიგნები უხმარიათ, მაგრამ დიდხანს არ მიჩერებიათ ტფილისის სტამბას.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც მეფობდა იმერეთში გონიერი და პატრიოტი მეფე სოლომონ მეორე გაუმართავთ ორ ადგილას სტამბა: ერთი ქ. ქუთაისში და მეორე დაბა საჩხერეში. სტამბები გამართულია მეფე სოლომონის ხარჯით. ორივე სტამბების გამგებელი. ანუ ესრეთ ვსთქვათ, ცენზორი ყოფილა ჩვენი „პატრიოტი“ თ. ზურაბ წერეთელი, რომელიც მეფე სოლომონმა დაწყევლა ლოლოტობისათვის ზედამხედველი წიგნების ბეჭდვისა ყოფილა არხიმანდრიტი ზაქარია, როგორც ამბობენ, გვარათ ბაბაშვილი. მესტამბეებათ ქუთაისში ყოფილა ზუბაშვილი და საჩხერეში რაზმაძე. ყველა, რაც ვსთქვით, სჩანს საეკკლესიო წიგნების ზედ წარწერისაგან.

მ. ღ.—ძე

(დასასრული შემდეგში)

## დღიური

*** თითქმის ყველა რუსის ქალაქის გამგეობებზედ ისმის ამ ჟამად საჩივარი, რომ ერთობ მძიმედ მუშაობენო, ერთობ აგვიანებენ საქმეების განხილვას და გარდაწყვეტასა და ამის გამო ხშირად ქალაქსა და იმის მცხოვრებლებს ზარალი ეძლევათო.

ამის გამო, როგორც ერთი პეტერბურღის გაზეთი გვაცნობებს, მმართებლობას განზრახვა აქვს, ვალდებულად გახადოს ქალაქების რჩევანი გამგეობანი (დუმა და უპრავა), ა) უეჭველად წლის დამლევს გაათაონ ყველა ის საქმეები, რაც იმ წლის განმავლობაში შემოსულა, ბ) იმ საქმეების განსახილავად, რომელნიც დანიშნულ ვადამდის ვერ გათავდება, დანიშნონ ცალკე უჩვეულებრივო სხდომები და გ) ყოველ წლის დამლევს შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინონ სია შესრულებული და შეუსრულებელი საქმეებისა.

*** რუსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ პეტერბურღში მიუტანიათ ტელეგრაფის თოკი, რომელნიც კასპიის ზღვაში უნდა ჩაუშვან ბაქოსა და კრასნოვოდსკს შუა ტელეგრაფის გასამართავად. ეს თოკი ლონდონში არის გაკეთებული და პეტერბურღში სამი ცეცხლის-გემითა და ექვსი დიდი ნავით მიუტანიათ. იმის სიგრძე 140 ვერსზე მეტი არისო და სიმძიმით 50,000 ფუთიაო. ამის მოტანა და ზღვაში ჩაშვება ნახევარ მილიონამდინ დუჯდება მთავრობას.

*** ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ ავტორისაგან ახლად გამოცემული ქართულს ენაზედ საექიმო წიგნი, სახელად „სახალხო საექიმო წიგნი ანუ კარაბადინი“ შედგენილი მღ. დავით ღამბაშიძისაგან.

წიგნი სამ ნაწილად არის გაყოფილი: პირველ ნაწილს შეადგენს მოკლე სწავლა ადამიანის სხეულის აგებულებაზე (ცნობები ფიზიოლოგიიდამ და ანატომიიდამ), მეორეს—საჭირო სწავლა და დარიგება ჯანმრთელობის დაცვისათვის (გიგიენა) და მესამე ნაწილში არის აწერილი სხვა-და-სხვა ავათმყოფობა და მათი წამლობა. თავის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს, რომ ამ საშკურნალო წიგნის შედგენის დროს ის სარგებლობდა სხვა-და-სხვა რუსული საშკურნალო და საექიმო წიგნებითა; ზოგან წიგნში ჩვეულებრივი, შინაური წამლობაც არის მოყვანილი.

ამ წიგნის შინაარსის აწონა და დაფასება ჩვენ ვთხოვეთ ერთ მცოდნე ქართველ ექიმს,

რაიცა შეეხება წიგნის გარეგან შეხედულობას, გამოცემას; რასაკვირველია, უკეთესის გამოცემა, უფრო ნაკლები შეცდომებითაც შეიძლებოდა, მაგრამ ურიგო მაინცა-და-მაინც არ არის. წიგნის ფასი (უყდო—მანეთი, ყდიანი—ექვსი აბაზი) ძვირი არ არის, რადგან კარგი სქელი წიგნია.

ყოველ შემთხვევაში ამის თქმა, ახლაც შეიძლება, რომ ეს ახალი საშკურნალო წიგნი ერთი-ორად და ერთი-ათად ემჯობინებოდა იმ ჩვენ ძველ კარაბადინებს, რომელნიც ასე გავრცელებულია ჩვენში, და ამის გამო ამ წიგნის გავრცელება უფრო სანატრელი უნდა იყოს...

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა ზურიიდამ:

„რაც დრო მიდის, დაკლების მაგივრად, თან-და-თან მრავლდება ჩვენში მკითხავებისა და სოფლის ექიმების რიცხვი. თუ ნებას მომცემთ, ორიოდე ამათგანს გაგაცნობთ:

„ერთი მკითხავი იყო აკანის სოფლის საზოგადოებაში. ეს იყო ახალგაზრდა, ლამაზი, თეთრ-ფუნთუშა ჩაიძის ქალი, რომელიც კაი ხანია წავიდა აქედამ და ახლა, როგორც ისმის, სადღაც ოზურგეთის მახლობელ სოფელში არისო. ამ მკითხავ ქალთან ძალიან ბევრი დადიან და ხალხი დარწმუნებულია, რომ ის სუყველაფერ მართალს ამბობს. მივა თუ არა იმასთან ვინმე საკითხავად, ქალი წაიყვანს საიდუმლო ოთახში, თვითონ დაჯდება, იმასაც დასვამს და მესამე სკამსაც დადგამს და ვიღაც უხილავ ძალას ეტყვის—დაბრძანდითო! მერე მოუყვება, რომ ესა-და-ეს ამბავი შეგმთხვევია და ესა-და-ეს შეგემთხვევაო. ამას წინათ ერთი ვიღაც მისულიყო იმასთან და როცა დაენახა ლამაზი ქალი, შეხება მოენდომებია; მაგრამ მკითხავი ძალიან გამწყრალიყო: ჩემი შეხება როგორ გაბედეო!

„მეორე მკითხავი—ქალი სოფ. ძიმითში ცხოვრებს, მაგრამ მუდამ სხვა და სხვა სოფლებში დაიარება და ატყუებს ხალხს, რადგან ეს მკითხაობის გარდა ექიმობასაც ჩემობს; პატარა ბოლჩა აქვა სხვა და სხვა ფერი რიყის—ქვებით სავსე; ჯერ ურჩევს, მერე ამ ფერად-ფერად ქვებს გალესს წყალში და დაალევინებს. თითო ამისთანა ბოთლს მანეთად ჰყიდის.

„ნაგომარში დგას ერთი გადამდგარი სალდათი,—ისიც მკითხაობს და ექიმობს! ეს სათამაშო ქაღალდით მკითხაობს, წამლად ასმევს სხვა და სხვა ფერ ხოჭოებისა და აგურის განალესს წყალს.

„ამ სამს გარდა გურიაში სხვა ბევრიც არიან ამგვარი მატყუარა და ხალხის გამცარცველი სოფლის ექიმები და მკითხავები. ხშირად ესენი თავიანთ უმეცარ რჩევითა და წამლობით ჰკლენ ავათმყოფს, და ამ შემთხვევაში იმის ჭირისუფალს ეუბნებიან: „დღე დალეული იყო, იმას არა ეშველებოდა რაო“!

„და კაცი არავინ არის; რომ ამ მკითხავებისაგან და იხსნას ჩვენი საცოდავი ხალხი“...

---

** ამ უკანასკნელ დღეებში ცოტა არ იყოს აგრილდა ქალაქს ჰაერი. ეს იმას მიეწერება, რომ ორჯერ-სამჯერ პატარა იწვიმა თვითონ ქალაქში, მაგრამ უფრო კი იმას, რომ ქალაქის გარეშემო სოფლებში კარგი ლაზათიანი წვიმები ყოფილა. ეს ორი დღეა გრილი ქარიც ჰქრის.

** ზაქათალიდამ იწერებიან, რომ იქ ამ ჟამათ ისეთი საშინელი სიცხეები დაიწყო, რომ დილის ათ საათიდამ ნაშუადღევის ხუთამდინ დედამიწა იწვისო როგორც გახურებული თონეო. მეტის მეტი სიცხისაგან მცენარეებს ფერი აღარ აქვს, იმათი ფოთლები ყვითლდებიან და ნაყოფს გემო აღარ აქვსო. აქაურ ყურძენს ნაცარი შეეპარაო და სხ. კორრესპონდენტის სიტყვით, თუ ამ სიცხეებმა დიდხანს გასტანეს, პური ძრიელ დაძვირდება იქითკენაო, ფეტვს და ყოველივე ნათეს სიმწვანე აღარ ეტყობა, თან და თან ყვითლდებაო.

** იქიდამვე გვწერენ, რომ იქაურმა მაზრის უფროსმა ბრძანება გასცა მთელ მაზრაში, რომ არავინ მოვაჭრეთაგანმა (სომხებმა) არ გაბედოს ზაქათალის მაზრაში პურისა და ქერის ჰყიდვაო, რომ შემდეგ ერთი-ორად აძლევენ გამყიდველებსაო. ჯერ-ჯერობით იქითკენ ძლიერ სიძვირე არ ჰყოფილა, როგორც იწერება კორრესპონდენტი.

** რუსულ გაზეთებში იწერებიან, რუსეთის ხვა და სხვა გუბერნიებში ცდილობენ მიაქციონ ყურადღება ღვინის კეთებასაო. ამის გამო სდგება საზოგადოება, რომელიც ფიქრობს კავკასიისა და ბესსარაბიის უფრო მოხერხებულ ადგილებში დააარსოს თითო სპეციალური შკოლები და ასწავლოს ღვინის კეთება.

** ამავე გაზეთების სიტყვით ამ მოკლე ხანში აღძრული იქნება კითხვა, რომ სასულიერო აკადემიებში მოახდინონ ცვლილება იმ მიზნით, რომ მსურველები იქ შესვლისა სწავლისათვის გამრავლდნენ გიმნაზიებიდამაც, რომლებიც, როგორც ვიცით, ეხლა თვალს არიდებენ აკადემიებსა. ამ საქმის თაობაზედ ფიქრობენ მოიწვიონ სხვა და სხვა უწყებების წარმომადგენელი პირნი.

** „მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან ადესიდამ, რომ იქაურ ბულვარში ერთმა ახალგაზდა, 17 წლის ყმაწვილმა სოციალისტმა, რომელიც მოსულიყო ხერსონიდამ, დაიწყო აურებელ ხალხში ნიგილისტურად ყვირილი. ის იმ წამსვე დაიჭირეს! მაგრამ მაინც არ მოისვენა, ყვიროდა, ლანძღავდა ყველას და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იმის მოქმედება არის განზრახი მოქმედება, მოფიქრებული და არა სულიერი მღელვარებისაგან მერყეული ტვინის ბრალი!

** გორიდამ დიდ სამდურავს იწერებიან პურის სიძვირეზედ და განსაკუთრებით საკლავის უკანონოთ გასყიდვაზედ. ფუთი ფქვილი, თუნდა ხის ნახერხსა ჰგავდეს და ტალახივით პური გამოვიდეს, რვა აბაზათ და მეტად იყიდებაო. ყასბები ტაქსის მიუხედველად ჩალალაჯსაც 9 კაპეიკათ ჰყიდიან გირვანქას და კისრის ძვალსაცაო. ტაქსის ძალით 1 სორტის უნდა იყიდებოდეს 9 კაპ. და მეორე 8 კაპ., მაგრამ თუნდ ორი დღის დარჩომილი, უსაძაგლესი ნაჭერი ხორცი იყვეს 8 კაპ. ვერ იყიდითო. და ამაებს ვისიც რიგია ყურადღებას არ აქცევსო!

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 19 ივლისს. რამდენიმე კვირის წინად ბალახვანის ქუჩაზედ, რიონის პირად, დადგეს ბუტკა, რომელშიაც იშოვენის კაცი ხილსა[illegible] ვაჭროებს ორ-ოლ სამ[illegible]. რაკი ეს ბუტკა დადგეს აქ, მას მერმე თითქმის ყოველს ღამეს მის წინ არის ერთი ჩხუბი, ვაი-ვაგლახი, ცემა-ტყეპა და ლაწა-ლუწი.

ამშველელი და გამზავებელი არავინ არის, მოდის კი ლამის აფხოდი, როგორც რიგია, მაგრამ ისინი თითონ სეირს უყურებენ! ამ აყალ-მაყალში დიდი ხანი კაიელის და კვარტალის ზედამხედველი არსად გამოჩნდება, არამც თუ მაშინ, არასოდეს ბალახვანის ქუჩაზედ ერთი არ გაევლია, და ან კიდეც რომ გაიარონ, ისინიც იმ განკარგულებას და მშვიდობიანობას დაადგნენ, რასაც მათი დესეტნიკები.

გუშინ წინ საათის პირველზე ნაშუაღამევს, საშინელი ყვირილი, გინება და ლანძღვა შემომესმა ძილში, რადგან იქვე მახლობლად ვცხოვრობ. გარეთ გამოვედი აბა რა დავინახე: ორი დამთვრალი რუსი ვიღაცას აგინებდენ, იმ დროს აფხოდიც მოვიდა იქ, მაგრამ ხმაც არ გაუცათ. ამ ლაპარაკში და გინებაში რომ არიან ეს ორი, უცებ გამოვარდა მებუტკე, ჰკრა ხელი ერთ მათგანს, წააქცია, მესდგა წიხლებით და სულ ნაღვლი გაიგდებინა, იმდენი სცემა; იქ იდგა აფხოდი, მააგრამ ხმაც არ გასცა.

რამოდენიმეკაცი გახლდათ მცქერელი ამათ უსამართლოებისა, რომელსაც ეხლავ მოგახსენებთ: როდესაც ამ მებუდკემეს მთვრალი დაზილა თქვენი მოწნებული, სალდათებს, რომელნიც აბხოდში იყვნენ, ბოლოს გული მოუვიდათ, გამლახავს წაავლეს ხელი და დესეტნიკების უკითხავათ პოლიციაში მიჰყავდათ; დესეტნიკებმა არ დაანებეს...

ეს სულ ასთე არის: გალახულს პოლიციაში მიათრევენ და გამლახველს კი სტოვებენ; მაგრამ იმ გალახულსაც მალე გაუშვებენ გზაშივე, ჩვეულებისამებრ, როგორც დღეს მოხდა ისრე, და ისინი კი ორი სამი მინუტის განმავლობაში ბუდკასთან მოირბენენ და სიამიანათ გიახლებიან ხილს და ღვინოს მუქთად.

როდესაც ამ დამნაშავეს-მებუდკეს გაუმხილეს პოლიციაში წაყვანა, ამან მათ უპასუხა: „აი რა შვილები ხართ! როცა კარგი ხილი და მასთან წითელი ღვინო დამილევინებია, მაშინ ხომ კარგი ბიჭი ვარ, და დღეს პოლიციაშიო!“ ამას როგორც ეტყვის ეს ბიჭი დესეტნიკებს, ისენი უკან დაბრუნდებიან და ეს მივა ბუტკაშიდ ლაპარაკით: „რა შვილი მიჰყავდათ პოლიციაშიო!“

ვ. გ—ძე.

---

## წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო! თქვენის გაზეთის და საზოგადოდ ბეჭდვის საშვალობით არა-ერთხელ მისცემია სიმართლის მქონე კაცს საშვალება და დაფარვა უწესოებისაგან. მისთვის გთხოვთ, უფალო რედაქტორო, უმორჩილესათ, რომ მცი-

რე ოდენს სიტყვას ამას ჩემსა დაუთმოთ მცირე ადგილი მახლობელ „დროების“ ნომერში.

თოთხმეტის თიბათვის „დროებაშიდ“ № 129 დაწერილია ჩემზედ კორრესპონდენცია უფლის სერგეი კალანდაძისაგან რომელშიდაც ამბობს, ვითომც მას უკრძალვიდე და არ ვაძლევდე ნებას ძმის, დის და ხლობელ ნათესავების სწავლებას.

მეტად მიკვირს, უფალო რედაქტორო, რომ რისთვის უფალმა კალანდაძემ არ სთქვა სიმართლე, საქმე რაშიდაც მდგომარეობდა, და მხოლოდ ამბობს მას რაც მას გაამართლებს.

სრულიად დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ რომე თუმცა მე სოფლის შკოლის მასწავლებელი ვარ, მაგრამ არასოდეს არავის აღუკრძალავ, მაგრამ უფ. კალანდაძემ მიმიყვანა იმზომაზედ, რომ ვალდებულ ვიყავი მისთვის მეჩივლა უფ. უეზდის ნაჩალნიკთან და კიდევაც უჩივლე, მარა არა მისთვის, რომ მას არ ესწავლებინა თავისის ნათესავისა და ძმისთვის, არამედ უჩივლე მაზედ, რომ ის აძლევდა სოფლის შკოლას ვნებას მით, რომ ჰქონდა გახსნილი დროებითი კერძო სასწავლებელი სახლში, რომლის მიზეზით მიჰყავდა საზოგადო შკოლიდამ მოსწავლეები და დღითი-დღე მე მაკლდებოდა შკოლაში მოსწავლეებს; მიჰყავდა სახლში და ყოვლის ნაყოფის მიუცემლად სტოვებდა ბავშვებს. ამ გარემოებამ აალევლა მთელი საზოგადოება, საზოგადო შკოლა იხურებოდა.

გასრულს წელშიაც გახსნა მან თავის სახლში კერძო სასწავლებელი, მაგრამ ჩემმა წინამოადგილემ დაუხურა მას ეს სასწავლებელი და ვიდრე აქამდინ ქონდა დახურული და ეხლა ხელმეორედ გახსნა. მაგრამ მეც კანონის ძალით აღუკრძალე თუ მას უნდა მაინც და მაინც მასწავლებლობა, დაიჭიროს ეგზამენი და [illegible] უფლება მასწავლებლობის თანამდებობაზედ.

ბასილევის სოფ. მასწ. პეტ. ურქუმაიშვილი
ზურია 12 ივლისს.

# განცხადებანი

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები ფიჭვისა და ნაძვის ხეებისა კარების, ფანჯრებისა და იატაკებისათვს. სრულებით მშრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერხული.

ვისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰსურს, [illegible] არსენალის ქუჩაზე, ფოლინოვის სახლებში № 31; იკითხოს უფ. ვალერიან ჩეჩუტი.

(3—1)

ქუთაისში

## კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

### ი ყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი— თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელი მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.,

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული დასაწყისი ენის კურსი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для друзинъ— შედგენილი გ. ქ—შილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობ 50 კაპიკად.

4) დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან, 50 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი—ფასი — — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი დეკ. დამბაშიძისაგან— — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილი—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13)— ყარაჩანია—პირველი ექვსი

14) რძალი, მიულ და მაშენიკები—

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხაყაზოვის სახლებში კლუბის ქვეშ

### შეცდომა

სურვილისამებრ უფ. ავტორისა საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ „დროების“ გუშინდელ, 153 ნომერში მოწინავე სტატიაში, („ორიოდე სიტყვა“ „თფ. მოამბის“ აზრზედ“) სხვა წვრიმალ, კორრექტურულ შეცთომილებათა შორის ორი, უფრო შესამჩნევი შეცთომა, რომლის გასწორება საჭიროთ დაინახა უფ. ავტორმა: 1. პირველ გვერდზედ, მესამე კოლონაში „187წე წლის მაგიერ უნდა იყვეს: 1867“ 6“ ლი და

2. მესამე გვერ. პირველ კოლონაში ბოლოდამ მეთერთმეტე სტრიქონში სიტყვა „პეტრაძე“ შეცდომით არის,—უნდა იყვეს „პეტრიძე“.

რედ.

| რკ. გზა | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი . . . | 1 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | [illegible] | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | [illegible] | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 11 ივლისს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ. | 2 | 20 |
| ფქვ. წითელი . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 35 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 30 |
| ბაცენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 12 | 30 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 81 |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი ბროც. ფუთ . | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 60 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 50 |
| თამბ ქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი და ბაბოვი—გულისა და შინაგ ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—კანისა და ვენერიულის, ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ, ბაბაევი—ნერვების.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შაბათს: ვერმიშევი, რეიხი და ყურავლევი.

ორბეხტი —კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Іюля 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.